პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 თებერვალი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 23 (9434) ● ფასი 2 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის სპორტის სასახლეში იწყება კალათბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის ფინალისტთა ექვსეულის ტურის მატჩები

# დღე პირველი

„ჟალგირისი" (კაუნასი) — ვეფ (რიგა). ჩემპიონატის პირველი ეტაპის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია კაუნასელთა ორი დამარცხება გახლდათ ვეფ-თან. რიგის კალათბურთელთა წარმატება ერთის მხრივ საბონისის ავადმყოფობამ, მეორეს მხრივ კი ვალტერსის ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. მეორე მატჩში ვეფ-ის ლიდერმა თავის გუნდს 35 ქულა შესძინა.

ცსკა — „სპარტაკი" (ლენინგრადი). მეტოქეებმა ამ ჩემპიონატში თითო შეხვედრა მოიგეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლენინგრადელთა გამარჯვება, რომელმაც ამ კოლექტივს ფინალში თამაშის უფლება მოუტანა.

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი). ამ გუნდების შეხვედრაშიც ანგარიში თანაბარია. განსაკუთრებით დაძაბული იყო პირველი მატჩი მოსკოვში, რომელიც თბილისელებმა 3 ქულით მოიგეს. ამ შეხვედრის ბედი მნიშვნელოვანწილად გელა დარსაძის ზუსტმა სამქულიანმა ტყორცნებმა გადაწყვიტა.

იხ. მე-3 გვ.





თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულნი — ლერი ხაბელოვი (მარცხნივ) და ზურაბ ტატუაშვილი.

# ფინალის სიურპრიზები

დასრულდა კიდევ ერთი, რიგით 26-ე ტრადიციული ტურნირი, განაწილდა ყველა მედალი და პრიზი. სამი დღის მანძილზე შეჯიბრებას მაყურებელი არ მოჰკლებია. განსაკუთრებული ინტერესი, ცხადია, ფინალურმა ორთაბრძოლებმა გამოიწვია — ტურნირის დასკვნით დღეს სპორტის სასახლის ათიათასიან ტრიბუნაზე ცარიელი ადგილი არ დარჩენილა. იმ საღამოს ოთხი ფინალური შეხვედრა გაიმართა საქართველოს ფალავნების მონაწილეობით. ოთხი ფინალისტი — ეს უკვე თავისთავად დიდი წარმატება იყო.

## საქართველოს ჩემპიონი — მსოფლიო ჩემპიონის პირისპირ

უმძიმესი წონის მოჭიდავეთა ფინალი: ზურაბ ტატუაშვილი (საქართველო) — კიმ ენგ სიკი (კსდრ), საქართველოს ჩემპიონის პირისპირ მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი დგას. კორეელი სპორტსმენი თავიდანვე აქტიურობს და პირველ ქულასაც იღებს, მაგრამ მალე ტატუაშვილი ათანაბრებს ანგარიშს. ამას მოჰყვა ეფექტური სამქულიანი გდება. პირველი პერიოდი ქართველი ფალავნის სასარგებლოდ მთავრდება — 4:1.

მსოფლიო ჩემპიონი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კიმ ენგ სიკს აქამდე არც ერთ მეტოქესთან არ ჰქონია სამქულიანი პასივი. მან ექვსი შეხვედრა მოიგო თავის ქვეჯგუფში, იმ ქვეჯგუფში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითადი წევრები — ვლადიმერ ტოგუზოვი, მინატულა დაიბოვი და ოლეგ კონიუშენკო გამოდიოდნენ. ტატუაშვილი კი „შემთხვევითი" კაცი იყო ფინალში. მან სულ სამი წინასწარი შეხვედრა ჩაატარა. პირველ წრეში ქულებით დამარცხდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისა და IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორთან ელშან მამედოვთან, შემდეგ წმინდად მოუგო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს სერგეი ზამბალოვს, ქულებით — კორეელ ო გენ ჰუნს, მეოთხე წრეში კი დაისვენა. საქმე ისე მიდიოდა, რომ მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში მამედოვი უნდა გასულიყო. მან ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოიგო, მაგრამ მეხუთე წრის შეხვედრების წინ „წონა ვერ ჩააბარა" და მოიხსნა შეჯიბრებიდან.

...მაგრამ მოდით, ისევ ფინალურ ორთაბრძოლას მივუბრუნდეთ, განახლდა თუ არა შეხვედრა, ტატუაშვილმა ჩოქბჯენში გადაიყვანა მეტოქე და კიდევ ერთი ქულა დაიმსახურა. ამის შემდეგ ტაბლოზე ანგარიში არ შეცვლილა. მართალია, კიმ ენგ სიკს ცდა არ დაუკლია, მაგრამ ჩვენი ფალავანი ოსტატურად იცავდა თავს და ოთხქულიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. ეს იყო შთამბეჭდავი, უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება. ზურაბ ტატუაშვილი მეორედ გახდა თბილისის ტურნირის ლაურეატი.

იხ. მე-2 გვ.



# ნონა გაფრინდაშვილის ახალი წარმატება

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში დამთავრებულ ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ოთხი დიდოსტატი და 8 საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. მათ შორის იყო მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

დიდოსტატმა ქალმა ჩინებულად წარმართა ბრძოლა და 11-შესაძლებლიდან 7 ქულით I-III ადგილები გაიყო.

# შეჯიბრებიდან შეჯიბრებაზე

უკრაინის დედაქალაქ კიევში დამთავრდა ზამთრის ღია რესპუბლიკური პირველობა ჩოგბურთში. ამ შეჯიბრებაში თავი ისახელა ჩვენმა თანამემამულემ ვლადიმერ გაბრიჩიძემ, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა უნგრელი იოსებ კრაჩკო — 6:2, 6:4. აღსანიშნავია, რომ ამავე ტურნირში კარგად იასპარეზა კიდევ ერთმა ქართველმა ჩოგბურთელმა დავით კაჭარავამ. იგი ნახევარფინალში გავიდა, სადაც ვლადიმერ გაბრიჩიძესთან ბრძოლაში დამარცხდა.

ახლა ჩვენი ჩოგბურთელები მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის ღია ჩემპიონატში, რომელიც გუშინ დაიწყო.

# ტურნირი ლენინგრადში

## დაძმობილებული ქალაქების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში

კვირას, ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსის დახურულ დარბაზში დაიწყო დაძმობილებული ქალაქების ტრადიციული საფეხბურთო ტურნირი. წლევანდელი გათამაშება რიგით მეექვსეა, ლენინგრადის ალმასკომის პრიზისთვის იბრძვიან ადგილობრივი „ზენიტი" და „დინამო", პლოვდივის „თრაკია", გდანსკის „ლეხია", ზაგრების „დინამო", დრეზდენის „დინამო", ჰამბურგის ნაკრები და ფინეთის ქალაქ ტურკუს საკლუბო გუნდი.

შეჯიბრების პირველ დღეს მასპინძელმა დინამოელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს დრეზდენის თანაკლუბელები, ხოლო გდანსკისა და პლოვდივის გუნდების შეხვედრა დამთავრდა გდანსკელთა გამარჯვებით — 1:0.

დაძმობილებული ქალაქების პრიზის გათამაშება 7 თებერვლამდე გასტანს.

# ვასილ მახარაძე ამჯერად მეორე იყო

მძლეოსნობაში სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე 1970-71 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის, რომელიც ზაპოროჟიეში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მონაწილეობით გაიმართა, კვლავ ისახელა თავი ვასილ მახარაძემ.

ჩვენი სპორტსმენი მეორე იყო — სამხტომში. მან 15,62 მ აჩვენა, 60 მ კი 7,40 წამში გაირბინა. პირველ ადგილზე გასულ ლენინგრადელ ა. ნასიბოვის შედეგია შესაბამისად 15,69 მ და 7,29. მახარაძე ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებ გუნდშია შეყვანილი. საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსის ტარიელ ბახტაძის აზრით მახარაძის შედეგი შთამბეჭდავია და ამ სპორტსმენის პერსპექტივაზე მიგვანიშნებს.

აღსანიშნავია, რომ ვასილმა ვარჯიში დაიწყო ქუთაისში, სადაც იგი ყოველდღიურად ზესტაფონიდან დადიოდა. ქუთაისში მისი მწვრთნელები იყვნენ ალექსეი ალექსეევი და თეიმურაზ რონიშვილი. მახარაძე ამჟამად თბილისში იმაღლებს ოსტატობას.

### თბილისის XXVI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

# ფინალის სიურპრიზები

დასასრული

— მას შემდეგ, რაც კიმ ენგ სიკმა ჩვენი ნაკრების ლიდერები — ვლადიმერ ტოგუზოვი და მინატულა დაიბოვი დაამარცხა, არ მეგონა, რომ მას ვინმე გაუმკლავდებოდა, — ამბობს საკავშირო სპორტსახკომის სახელმწიფო მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში შამილ ნევრედინოვი, — ზურაბ ტატუაშვილმა მართლაც ჩინებულად იჭიდავა ფინალში და მსოფლიო ჩემპიონს გამარჯვების შანსი არ დაუტოვა. მჩატე წონაში ტატუაშვილი ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოჭიდავეა, ოღონდ ეგ არის, სტაბილურობა აკლია. ამიტომაც აქამდე იშვიათად იწვევდნენ ნაკრებში. მალე მას სხვა ტურნირებშიც მოვსინჯავთ.

## ზედიზედ მესამედ!

**ლერი** ხაბელოვმა ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა თბილისის საერთაშორისო ტურნირში. მან ექვსი შეხვედრა ჩაატარა და ყველა დამაჯერებლად მოიგო. მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ხაბელოვისა და მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონის, ლენინგრადელი პიოტრ ნანიევის ფინალში გასასვლელი ბრძოლა, რომელშიც ჩვენმა ფალავანმა „მშრალი“ ანგარიშით (7:0) გაიმარჯვა.

მეორე ქვეჯგუფიდან ფინალში ოდესელი რობერტ თიბილოვი გავიდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა უაღრესად საინტერესო გამოდგა. პირველივე წუთზე თიბილოვი სამი ქულით დაწინაურდა. ასეთ მეტოქეთა შეხვედრაში სამი ქულა სოლიდური უპირატესობაა. მაგრამ ხაბელოვმა, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით შეძლო მდგომარეობის გათანაბრება და წინ გასვლა — ზედიზედ ექვსი ქულა აიღო. შესვენების შემდეგ, თბილისელმა ფალავანმა კიდევ ორი ქულა აართვა მეტოქეს, თიბილოვი აშკარად დაიღალა, პასიურობდა და მსაჯებმა მესამე გაფრთხილება მისცეს.

სპორტული სეზონის სტარტზე მოპოვებული ამ გამარჯვებით, ცხადია, ლერი ხაბელოვმა კვლავ დაიბრუნა ლიდერის „ყვითელი მაისური“. ალბათ, გეხსომებათ: 1985 წელს ტრიუმფის შემდეგ (ამ წელს ხაბელოვმა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში გაიმარჯვა) ხაბელოვი ჩრდილში მოექცა და დიდი შეჯიბრებების მიღმა დარჩა. შარშან საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ასლან ხადარცევი წაიყვანეს. ტაშკენტელმა ფალავანმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და... მძიმე წონაში გადავიდა.

## ხადარცევი — გობეჯიშვილი

**ასლან** ხადარცევი დავით გობეჯიშვილის კონკურენტად იქცა. პირველი „რაუნდი“ ხადარცევის სასარგებლოდ დამთავრდა. მან თბილისის ტურნირის ფინალში გობეჯიშვილი დაამარცხა; ქვემძიმე წონაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მძიმე წონაში მსოფლიოს 1985 წლის ჩემპიონს მოუგო. 3:1 — ასეთი იყო საბოლოო ანგარიში, მაგრამ ამ შეხვედრის შედეგმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მაინც რა მოხდა ტურნირის ბოლო ორთაბრძოლაში? უკვე წინასწარი შეხვედრების მსვლელობისას გამოითქვა ვარაუდი, რომ თუ ფინალში გობეჯიშვილი და ხადარცევი გავიდოდნენ, ქართველ ფალავანს გაუჭირდებოდა გამარჯვება. ვარაუდი გამართლდა. პირველ პერიოდში მეტოქეებმა ქულის აღება ვერ მოახერხეს. ყველაფერი შეხვედრის ბოლო წუთებში გადაწყდა. გობეჯიშვილს ძვირად დაუჯდა შეცდომა, როცა წამით მოდუნდა და ერთბაშად სამი ქულა წააგო. ამ კრიტიკულ სიტუაციაში გობეჯიშვილმა ვერ შეძლო მობილიზება, ერთადერთმა აღებულმა ქულამ საქმეს ვერ უშველა. ხადარცევი თავს იცავდა, პასიურობდა, მსაჯები მესამე გაფრთხილების მიცემასაც აპირებდნენ, მაგრამ ამასობაში დროც ამოიწურა.

ბევრი იდავეს მწვრთნელებმა, მათი განწყობა მაყურებელთა ერთ ნაწილსაც გადაედო, მაგრამ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასლან ხადარცევი ავიდა. ეკუთვნოდა თუ არა მას მესამე გაფრთხილება? აი, რას ამბობს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჯუმბერ დავლიანიძე: „პასიურობისთვის მოჭიდავის მოხსნა უკიდურესი სასჯელია. ხადარცევი არც ერთხელ არ გაქცეულა ხალიჩიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ღონეს ხმარობდა მეტოქის შეტევების ჩასაფუშავად. დრო ცოტა იყო დარჩენილი და მსაჯებმა ვერ „გაწირეს“ ხადარცევი. ალბათ, სწორად მოიქცნენ“.

ორიოდე სიტყვით დანარჩენ ფინალურ შეხვედრებზე. უმჩატეს წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, კორეელმა ლი ზე სიკმა, თუმცა ფინალში მას ჯიუტი წინააღმდეგობა გაუწია საკავშირო ნაკრების წევრმა სერგეი კარამჩაკოვმა. 57 კგ წონაში სოხუმელმა ეგია მუსოიანმა ვერაფერი გააწყო საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონთან, მახაჩყალელ რუსლან კარაევთან. ეს შეხვედრა 2 წუთსა და 14 წამში კარაევის წმინდა გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, ეგია მუსოიანის შედეგი წარმატებად უნდა ჩავთვა-



ხალიჩაზე არიან ეგია მუსოიანი და ბაგაუდინ მამაევი. სოხუმელ ფალავანს ჩოქბჯენში გადაჰყავს მეტოქე.

ლოთ, ასეთი ავტორიტეტული შეჯიბრების ფინალში გასვლა ახალგაზრდა ფალავნის მზარდ ოსტატობაზე მეტყველებს. მსუბუქ წონაში ბადალი არ ჰყავდა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონს მოსკოველ ხაზარ ისაევს. მან გადამწყვეტი შეხვედრა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, კრასნოიარსკელ ვიქტორ ალექსეევს მოუგო — 8:3. პირველ საშუალო წონაში ალექსეევის თანაქალაქელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა აბდულა მაჰომედოვმა გაიმარჯვა (შეგახსენებთ, რომ ამ წონაში არ უასპარეზია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ტაშკენტელ არსენ ფაძაევს). მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა აშშ-ის ნაკრების ლიდერმა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა დეივ შულცმა (74 კგ). მისი უპირატესობა ყველა შეხვედრაში აშკარა იყო. ფინალში შულცმა ორწუთნახევარში ხალიჩას გააკრა ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ტარამ მაჰომადოვი. 82 კგ წონით კატეგორიაში მოსკოველმა იური ვორობიოვმა გაიმარჯვა. ფინალში მისი მეტოქე იყო თბილისის შარშანდელი ტურნირის ჩემპიონი ლუკმან ჯაბრაილოვი. ამ წონაში მესამე ადგილი დაიკავა თბილისელმა ავთანდილ გოგოლიშვილმა, რომელმაც ნახევარფინალში ამერიკელი ვაინ კატანი დაამარცხა. თბილისის ტურნირში მესამე გამარჯვება იზეიმა მოსკოველმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა სანასარ ოჰანესიანმა (ფინალში მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს — ამერიკელ ჯიმი შერს მოუგო).

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა 20 მოჭიდავე გამოიყვანეს ტურნირზე. ჩვენმა ფალავნებმა 6 საპრიზო ადგილი დაიკავეს. ოქროს მედლები გადაეცათ ზურაბ ტატუაშვილსა და ლერი ხაბელოვს, მეორე ადგილზე გავიდნენ ეგია მუსოიანი და დავით გობეჯიშვილი, მესამეზე — ავთანდილ გოგოლიშვილი და ზაზა [illegible] (თუმცა მეორე-მესამე ადგილებზე გასულებს ჯილდოები არ მიუღიათ. საქმე ის არის, რომ დებულების თანახმად პრიზიორთა სამეულში თითოეული მონაწილე ქვეყნის თითო წარმომადგენელი შედის). ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენმა მოჭიდავეებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: ემზარ გვიჩიანი (57 კგ) — XXIII ადგილი, შამილ მაჰომედოვი (62 კგ) — XVI, ვეფხვია სალთხუციშვილი (62 კგ) — XIX, გოჩა გაბოძე (68 კგ) — VII, ნუგზარ პატურიშვილი (68 კგ) — XV, მერაბ ციმაკურიძე (74 კგ) — XI, ლევან სირაძე (74 კგ) — XIII, არკადი ეპრიკოვი (82 კგ) — XV, დავით ხურცია (82 კგ) — XX, ანზორ გოგრიჭიანი (82 კგ) — XXIV, ზაზა ტყეშელაშვილი (100 კგ) — VI, არსენ მაისურაძე (100 კგ) — IX, კობა კუპატაძე (100 კგ) — XIV, გია გალდავა (130 კგ) — XI.

**ელგუჯა ბერიშვილი.**

### კვარცხლბეკი

**48 კგ.** 1. ლი ზე სიკი (კსდრ), 2. ს. კარამჩაკოვი (სსრკ), 3. ტ. სუხებატორი (მონღოლეთი).

**52 კგ.** 1. ზ. ტატუაშვილი (საქართველო), 2. კიმ ენგ სიკი (კსდრ), 3. მ. შვაბი (აშშ).

**57 კგ.** 1. რ. კარაევი (სსრკ), 2. ვ. ივანოვი (ბულგარეთი), 3. ბ. დევისი (აშშ).

**62 კგ.** 1. ხ. ისაევი (სსრკ), 2. ა. ენჰე (მონღოლეთი), 3. ჯ. მაკფერლანდი (აშშ).

**68 კგ.** 1. ა. მაჰომედოვი (სსრკ), 2. ე. ურბანო (აშშ), 3. ა. სირაკოვი (ბულგარეთი).

**74 კგ.** 1. დ. შულცი (აშშ), 2. ტ. მაჰომადოვი (სსრკ), 3. კ. ვესელინოვი (ბულგარეთი).

**82 კგ.** 1. ი. ვორობიოვი (სსრკ), 2. ვ. კატანი (აშშ), 3. პ. რაუხალა (ფინეთი).

**90 კგ.** 1. ს. ოჰანესიანი (სსრკ), 2. ჯ. შერი (აშშ), 3. ე. ნეჩი (პოლონეთი).

**100 კგ.** 1. ლ. ხაბელოვი (საქართველო), 2. ბ. შერი (აშშ), 3. უ. ადამი (გდრ).

**130 კგ.** 1. ა. ხადარცევი (სსრკ), 2. ა. შრიოდერი (გდრ), 3. მ. ჯონსონი (აშშ).

**რედაქციისაგან:** დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ერთი შეხედვით, უკმაყოფილო თითქოს არ უნდა ვიყოთ — გამარჯვებულებიც გვყავს და პრიზიორებიც; თუ საერთო შთაბეჭდილების მიხედვით ვიმსჯელებთ, არც ასპარეზობის ორგანიზაცია იყო ურიგო, მაგრამ ნაკლოვანებებმაც იჩინა თავი და მათი მიჩქმალვაც არ შეიძლება, მით უფრო, რომ ეს ფაქტები სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. ავიღოთ თუნდაც რეკლამა. დღევანდელ პირობებში ასე მდარე, უსუსური რეკლამა, რომელიც ქალაქში სპორტის სასახლის სარეკლამო სტენდებზე ვიხილეთ, რა თქმა უნდა, არც ჩვენ გვეკადრება და არც ისეთ ავტორიტეტულ შეჯიბრებას, როგორიც თბილისის საერთაშორისო ტურნირია. არაერთხელ ითქვა, მაგრამ სასახლის არენაზე ისევ ბევრი ხალხი ირევა როგორც შეჯიბრების მსვლელობის, ისე გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების დროს. ეს მით უფრო მოუთმენელია, რომ ზოგჯერ აქ იდეალური წესრიგია. ჩრდილი არც ამ ტურნირს მიადგებოდა, სპორტის სასახლის დირექციას (დირექტორი გ. შარაშიძე) მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა. ახლა კი რამდენიმე სიტყვით კვლავ გვინდა დავუბრუნდეთ გობეჯიშვილ—ხადარცევის ფინალურ შეხვედრასთან დაკავშირებულ უპრეცედენტო ამბებს. ქართველი ფალავანი აშკარად სუსტი იყო (სპეციალისტების აზრს მოგახსენებთ), მაგრამ, როცა სარბიელზე სპორტსმენის უსუსურობას მწვრთნელისა და შეგირდის უტაქტობაც ემატება, დაგვერწმუნებით, ეს უკვე მეტისმეტია. შეჯიბრების ორგანიზატორებისთვის, სპეციალისტებისა და მაყურებლებისთვის გაურკვეველი დარჩა, ორთაბრძოლის დასაწყისიდანვე რატომ და რისთვის გამოხატავდნენ პროტესტს მწვრთნელი და სპორტსმენი. საკამათო არაფერი იყო. „რა ვუყოთ, წავაგეთ“! — იტყვის შემდეგ ტურნირის მთავარი მსაჯი ვახტანგ ბალავაძე. მაყურებელი გობეჯიშვილისა და მისი მწვრთნელის გურამ სადარაძის უტაქტო, ჩვენი საერთო თავმოყვარეობის შემლახავმა საქციელმა უფრო გულნატკენი დატოვა, ვიდრე ხალიჩაზე წაგებულმა ორთაბრძოლამ. როგორც ჩანს, მწვრთნელს და მის აღსაზრდელს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ გონივრული დასკვნები ადრე მათ მიმართ წაყენებული პრეტენზიებიდან.

# მუშაობა დაიწყო ახალმა სკოლამ



**როგორც** ჩვენი გაზეთის მკითხველებს ადრე ვაუწყეთ, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან სპორტსახკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა ბავშვთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლა. სკოლა საზეიმოდ გაიხსნა 1 თებერვალს, გუშინ კი მეცადინეობებიც ჩატარდა. ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ალექსანდრე კოტორაშვილი ერთ-ერთ პირველ მეცადინეობას დაესწრო და ფირზე აღბეჭდა იგი.



## ერთპიროვნული ლიდერი და რვა მდევარი

**სამტრედია** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.) გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. გათამაშდა 5 ტური. ასპარეზობას უდანაკარგოდ ლიდერობს სამტრედიელი ნიკოლოზ ლეკვეიშვილი. 4 ქულა 8 მოჭადრაკემ დააგროვა: ციალა ქასოშვილმა (გორი), სოფიკო ტერელაძემ (სამტრედია), დათო წიქურიშვილმა (რუსთავი), ვიტალი მიროშნიჩენკომ (აფხაზეთი), ანატოლი შტანკომ (გარდაბანი), გია გოგოლაძემ (ჩოხატაური), გოგი ხომერიკმა და იური ნეჩაევმა (ორივე — თბილისი).

**ბექან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სამტრედიის საჭადრაკო სკოლის დირექტორი.**

## საკონტროლო მატჩი

**ლანჩხუთის** „გურიამ“, რომელიც შეკრებაზე იმყოფება შავიზღვისპირეთში, ჩაატარა პირველი საკონტროლო შეხვედრა. კვირას ლანჩხუთელი ფეხბურთელები მოსკოვის „ლოკომოტივს“ შეხვდნენ. ძირითად შემადგენლობათა მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა —2:1, დუბლიორთა შეხვედრა კი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## მეექვსე ადგილზე

**პირველი** ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო შეჯიბრების ბოლო დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ლენინგრადის „ვოლნასთან“ დამარცხდა — 71:76 (33:36). შეხვედრის ბედი ფაქტიურად მეორე ტაიმის პირველ წუთებში გადაწყდა. ნევისპირელებმა ამ პერიოდში 16 ქულა აიღეს, თბილისელმა სტუდენტებმა კი მხოლოდ 5.

შემდგომში მასპინძლებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, შეამცირეს კიდეც სხვაობა, მაგრამ საბოლოო გარდატეხა თამაშში მაინც ვერ შეიტანეს და, როგორც უკვე ვთქვით, დამარცხდნენ.

ამ დღეს ფრუნზეს „სტროიტელმა“ მეორე გამარჯვება მოიპოვა — აჯობა ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ — 92:88 (54:36).

დამთავრდა საკავშირო გათამაშების პირველი ეტაპი. გამოვლინდა პირველი ლიგის ოთხი უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც უმაღლეს ლიგაში მოხვედრისათვის იბრძოლებენ. ესენია: ვოლგოგრადის „დინამო“, კაუნასის „ბანგა“, პენზის „სპარტაკი“ და სიმფეროპოლის „სპარტაკი“.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა გათამაშებაში VI ადგილი დაიკავეს. ისინი პირველი ლიგის სხვა შვიდ კოლექტივთან ერთად გააგრძელებენ ბრძოლას ლიგაში დასარჩენად. პირველ ლიგას დატოვებს ბოლო ორ (VII და VIII) ადგილებზე გასული კოლექტივები.

**ფ. ლეონიძე.**

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი



# ფინალისტთა მატჩები

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 54-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ფინალისტები ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. დებულების თანახმად გუნდებს პირველ ეტაპზე ნათამაშები ყველა მატჩის შედეგი შემდგომშიც „მიჰყვებათ“. მაგრამ ფინალისტთა ურთიერთშედეგებს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი, ამავე დროს, პირველ ეტაპზე გამართული ორთაბრძოლების დაძაბულობასა და დრამატიზმზე მეტყველებს. ამიტომაც ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ამ მატჩების შედეგებს გავიხსენებთ.

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 88:72 და 93:60; ცსკა — ვეფ (რიგა) 92:94 და 116:114; ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 109:85 და 73:81; ცსკა — „შახტიორი“ (დონეცკი) 101:81 და 99:94; ცსკა — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 90:91 და 79:94; „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 78:74 და 69:85; „ჟალგირისი“ (კაუნასი) — ვეფ (რიგა) 83:106 და 88:99; „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 78:81 და 91:79; „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი) 79:54 და 115:91; „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) 89:74 და 87:81; „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 76:108 და 66:63; „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 71:68 და 92:102; „შახტიორი“ (დონეცკი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 81:79 და 79:77; „შახტიორი“ (დონეცკი) — ვეფ (რიგა) 87:74 და 78:88; ვეფ (რიგა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). 100:102 და 73:75.

# ვინ რამდენჯერ იყო პრიზიორი?

**ექვსი** ფინალისტი, 54-ე საკავშირო ჩემპიონატის ექვსი ფავორიტი. ისინი სხვადასხვა გეგმებით და შესაძლებლობებით იწყებენ გათამაშების მეორე ეტაპს. მათ, ამ გუნდებს, ყველას მეტ-ნაკლებად საინტერესო ბიოგრაფია აქვთ: იყვნენ ჩემპიონები, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულნი, ფლობდნენ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს. ერთი სიტყვით მათი ბიოგრაფია, ნაწილობრივ, საბჭოთა კალათბურთის სახელოვან ისტორიასაც განსაზღვრავს.

ცსკა, კაუნასის „ჟალგირისი“, თბილისის „დინამო“, ლენინგრადის „სპარტაკი“ და რიგის ვეფი! ეს ხუთი კლუბი, საბჭოთა კალათბურთის ხუთი გრანდი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვადით პრიზიორთა რიგებში ირიცხებოდა. მათ შორის „უცხო სხეულივითაა“ შემოჭრილი ფინალური ტურნირის მეექვსე მონაწილე, დონეცკის „შახტიორი“. მაგრამ ამ ახალგაზრდულმა და უდავოდ ნიჭიერმა კოლექტივმა თავისი უნარი და შესაძლებლობანი ჩემპიონატის პირველ ორ წრეში უკვე დაამტკიცა იმითაც, რომ უძლიერესთა ფინალური ტურნირისკენ გაიკაფა გზა და ახლა სხვებთან ერთად 54-ე ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძვის.

ყველაზე ტიტულოვანი კოლექტივი ამ ექვსეულში, ცხადია, მოსკოვის არმიელთა გუნდია, რომელიც 23-ჯერ იყო ჩემპიონი, ათჯერ ვერცხლისა და ოთხჯერ ბრინჯაოს მედალს ფლობდა.

საპრიზო ადგილების მიხედვით მეორე ადგილზეა კაუნასის „ჟალგირისი“: ოთხჯერ — ჩემპიონი; ხუთჯერ მეორე და ექვსჯერ მესამე ადგილი.

თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა დროს პრიზორთა შორის თორმეტჯერ იყო (ოთხი — ოქროს, ოთხი — ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი).

უფრო მოკრძალებულია ლენინგრადის სპარტაკელთა წარმატება, თუმცა საპრიზო ადგილები მათაც თორმეტჯერ აქვთ მოპოვებული (ერთხელ ჩემპიონი, შვიდჯერ — მეორე და ოთხჯერ — მესამე ადგილები).

რიგა წლების მანძილზე უმაღლეს ლიგაში ორი გუნდით (ასკ და ვეფ-ი) იყო წარმოდგენილი, მაგრამ მეტი წარმატება არმიელებს ჰქონდათ მოპოვებული. ვეფ-ი, რომელიც მხოლოდ ამ ბოლო დროს დაწინაურდა, ორჯერ იყო ბრინჯაოს პრიზიორი.

და ბოლოს, დონეცკის „შახტიორი“ — წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტი, რომლის სპორტული ბიოგრაფია ახლა იწყება...

# გუნდები და შემადგენლობები

**არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი**

№ 4. ა. მელეშკინი (დაიბადა 1958 წელს, სიმაღლე 185 სმ), № 5. ა. ვოლკოვი (1964, 204), № 6. ს. ტარაკანოვი (1958, 200), № 7. ვ. გობოროვი (1966, 212), № 8. ა. ლოპატოვი (1957, 208), № 9. ჰ. ენდენი (1959, 200), № 10. ს. პოპოვი (1960, 200), № 11. ვ. ტკაჩენკო (1957, 220), № 12. ა. ეგოროვი (1964, 205), № 13. ა. გუსევი (1958, 196), № 14. ვ. ტიხონენკო (1964, 206), № 15. ვ. პანკრაშკინი (1958, 215), № 16. ს. ბაზარევიჩი (1965, 195).

უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ი. ხელიხოვი.** მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი **ა. ლოპატოვი.**

**„ჟალგირისი“ (კაუნასი)**

№ 4. ა. ბრაზისი (1952, 192), № 5. ა. ვისოცკასი (1965, 198), № 6. ა. ვენცლოვასი (1963, 197), № 7. ო. ჩივილისი (1959, 205), № 8. მ. ლეკარაუსკასი (1960, 206), № 9. გ. კრაპიკასი (1961, 196), № 10. რ. კურტინაიტისი (1960, 196), № 11. ა. საბონისი (1964, 220). № 12. ვ. იანკაუსკასი (1959, 206), № 13. ვ. ხომიჩუსი (1959, 190), № 14. რ. რაგაუსკასი (1964, 196), № 15. ს. იოვაიშა (1954, 195).

უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ვ. გარასტასი,** მწვრთნელი — ლიტვის დამსახურებული მწვრთნელი **გ. გედრაიტისი.**

**ვეფ (რიგა)**

№ 4. ე. დრეიბერგსი (1957, 184), № 5. ი. პენცისი (1965, 203), № 6. ა. ბაგატსკისი (1967, 196), № 7. ი. კალნინში (1952, 203), № 8. კ. მუიჟნიეკსი (1964, 198), № 9. ა. დუდოროვი (1955, 205), № 10. ვ. ვალტერსი (1957, 194), № 11. ი. ჩირკოვი (1958, 200), № 12. ა. კარავაევი (1959, 212), № 13. ა. კულიკოვსკისი (1960, 187), № 14. ა. ძეტუზე (1967, 202), № 15. ა. ეკობსონსი (1961, 197).

უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **მ. ვალდმანისი,** მწვრთნელი — სპორტის ოსტატი **ვ. კრიშტაპანისი.**

**„შახტიორი“ (დონეცკი)**

№ 4. ს. ზავალინი (1964, 182), № 5. ა. ლუკიანეცი (1962, 198), № 6. ი. კაჩურა (1963, 180), № 7. მ. კრონიჩოვი (1964, 205), № 8. ა. ბოგდანოვი (1961, 196), № 9. დ. დონსკოი (1963, 193), № 10. რ. იუსუპოვი (1958, 198), № 11. ს. ბაბენკო (1961, 205), № 12. ა. შევჩენკო (1962, 200), № 13. ვ. ვნუკოვი (1959, 192), № 14. ა. ერმოლინსკი (1959, 207), № 15. ნ. ივახნენკო (1958, 198).

უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი **ა. ვლასოვი,** მწვრთნელი — **ი. დუბოვი.**

**„სპარტაკი“ (ლენინგრადი)**

№ 4. ა. ავერიანოვი (1961, 204), № 5. ი. პავლოვი (1952, 200), № 6. ე. კისელიოვი (1963, 201), № 7. ს. კუზნეცოვი (1954, 185), № 8. ს. გრიშაევი (1961, 206), № 9. ა. მალცევი (1962, 199), № 10. ვ. ჟარკოვი (1963, 197), № 11. ა. უგრიუმოვი (1967, 206), № 12. ვ. გორინი (1961, 185), № 13. ა. ხარჩენკოვი (1953, 200), № 14. ვ. კოროლიოვი (1965, 211), № 15. გ. უსპენსკი (1964, 201).

უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ვ. კონდრაშინი.** მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი **ა. ბოლშაკოვი.**

**„დინამო“ (თბილისი)**

№ 4. გ. კაპუსტინი (1958, 188), № 5. ი. ბოროდაჩოვი (1959, 208), № 6. მ. კობეშავიძე (1968, 193), № 7. გ. სანაძე (1964, 197), № 8. დ. თალაბაძე (1967, 198), № 9. გ. დარსაძე (1962, 186), № 10. ა. ტიუბინი (1960, 203), № 11. ზ. ინაური (1967, 206), № 12. ა. ფერიაშვილი (1967, 203), № 13. დ. გოორგობიანი (1966, 199), № 14. ა. ოპოშნიანი (1961, 203), № 15. მ. გაბრიჩიძე (1966, 201), № 16. ლ. გეგეშიძე (1969, 187).

უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ლ. მოსეშვილი,** მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ვ. მხეიძე.**

გუნდების შემადგენლობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ შეიტყობთ თბილისის სპორტის სასახლის რადიოკომენტატორისაგან.



# არბიტრები

**54-ე საკავშირო** ჩემპიონატის თბილისის ტურის მატჩებს შვიდი მსაჯი მოემსახურება — ნეიტრალური ქალაქების წარმომადგენლები. არბიტრებს შორის ხუთი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია, ერთი — საკავშირო და ერთიც — რესპუბლიკურის.

ტურის მთავარ მსაჯად დამტკიცებულია **ლ. შარიფი** (მოსკოვი), მთავარი მსაჯის მოადგილედ — **რ. ხომერიკი** (თბილისი), მთავარ მდივნად — **ე. აზიზოვა** (თბილისი).

მატჩებს მოემსახურებიან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **ი. გოლინსკი** (კალუგა), **ო. გორბატოვი** (კუიბიშევი), **ვ. ხუურკასკი** (ტალინი), **ბ. შარიკოვი** (გომელი), **ვ. მუხინი** (ბაქო), საკავშირო კატეგორიის მსაჯი **ი. კოვალიოვი** (გომელი) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი **ს. ფომინი** (სმოლენსკი).

### კალათბურთი დღეს და გუშინ

# წლები, ადამიანები, მოვლენები

**ქართული** კალათბურთის ისტორია, უფრო სწორად მისი თავფურცელი, ერთ ბედნიერ შემთხვევას უკავშირდება, რომლის უშუალო მონაწილე მუშფაკის ფიზკულტურული წრის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭელიძე ყოფილა. 1922 წელი იდგა. მოსკოვში, სოკოლნიკების სტადიონზე ვსევობუჩის სპარტაკიადა ტარდებოდა. ერთ დღეს ჭელიძემ სტადიონის გვერდით, მოედანზე უყურა ერთ უცხო თამაშს, რომელიც ძალიან მოეწონა. გაიკითხა რა ერქვა ამ თამაშს, როგორი წესები ჰქონდა, შინაარსი, ეს ყველაფერი ჩაიწერა და თბილისში ჩამოსვლისთანავე ნაცნობ-მეგობრებს გააცნო იგი, თან თავისი განზრახვაც გაანდო.

ერთი წლის შემდეგ მუშფაკის ეზოში ორ ადგილობრივ გუნდს შორის პირველი ოფიციალური მატჩი მოეწყო, ასე გადაიშალა საქართველოში კალათბურთის მრავალწლიანი და სახელოვანი ისტორიის პირველი ფურცელი.

ალისა ასიტაშვილი... ახლა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების მედალოსნები გავიხსენოთ. ისევ ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, ისევ გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე, ისევ ზურაბ საკანდელიძე და ნიკოლოზ დერიუგინი, გურამ აბაშიძე, ანზორ ლეჟავა... ყველა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულთა ჩამოთვლას, ცხადია, ვერ შევძლებთ, ამ მოკლე ისტორიულ ექსკურსში ყურადღებას ჩვენი საკალათბურთო ცხოვრების მხოლოდ უმთავრეს მომენტებზე გავამახვილებთ.

**1922 წელი.** მოსკოვი. ვსევობუჩის სპარტაკიადაზე ქართველმა მძლეოსნებმა ა. ჭელიძემ და ა. ნებიერიძემ პირველად უცქირეს კალათბურთელთა თამაშს.

**1923 წელი.** შინ დაბრუნებულმა ალექსანდრე (შურა) ჭელიძემ, რომელიც მაშინ მუშფაკის ფიზკულტურელთა წრეს ხელმძღვანელობდა, უცხო თამაში სასწავლებლის



თბილისის „სინათლე“ — კალათბურთელთა პირველი გუნდი საქართველოში. სხედან (მარცხნიდან) ბ. გერასიმოვი, ქართული სპორტის დიდი მოამაგე გ. ეგნატაშვილი და ა. ჭელიძე. დგანან — გ. საყვარელიძე, მ. ცხვედაძე და ა. დავიდოვი.

მაგრამ გვაქვს კიდევ უფრო ძველი ცნობა იმის შესახებ, რომ უცხო თამაში საქართველოში უფრო ადრე „შემოჭრილა“. ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში შემთხვევით წავაწყდით ვაჟთა მეორე გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლის ა. სკოტაკის წიგნს, რომელიც 1901 წელს ჩვენს ქალაქში დაისტამბა რუსულ ენაზე. წიგნში, რომელსაც „სატანვარჯიშო თამაშები“ ჰქვია, სასწავლო დაწესებულებებისათვის რეკომენდებულ მოძრავ თამაშებს შორის ავტორს „დიდი ბურთით თამაში“ ანუ კალათბურთიც აქვს დასახელებული. სკოტაკი, რომელიც ტანვარჯიშის პოპულარიზაციის მიზნით საქართველოში ჩეხოსლოვაკიიდან იყო ჩამოსული, ცხადია, იცნობდა ამ თამაშს. სხვანაირად მის წესებს წიგნში როგორ შეიტანდა?

ასეა თუ ისე, საქართველოში კალათბურთის დაბადების თარიღად 1923 წელია მიჩნეული, უფრო სწორად, ის დღე, როცა მუშფაკის ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს.

... პირველ დიდ წარმატებას საკავშირო ჩემპიონატებში (ეს შეჯიბრება კალათბურთელთა გუნდების სიძლიერის საზომად ითვლებოდა მუდამ) რესპუბლიკის გუნდებიდან თბილისის ოფიცერთა სახლის კლუბმა მიაღწია. მერე თბილისის დინამოელთა ძლევამოსილი გამარჯვებების ხანა დადგა (საკავშირო ჩემპიონატებსა და თასების გათამაშებაში, ქალაქების ტრადიციულ სამატჩო შეხვედრებსა და ზამთრის საკავშირო პირველობებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებსა და შეჯიბრებებში).

1947 წელს საბჭოთა კალათბურთი პირველად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. 40 წლის წინ გუნდი, რომლის ღირსებასაც სხვებთან ერთად ჩვენი ორი სახელოვანი კალათბურთელი ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია იცავდნენ, პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. კონტინენტის ჩემპიონები სხვადასხვა დროს (ზოგი რამდენიმეჯერ) იყვნენ: გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე, ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხიერელი, სერგეი კოვალენკო და ნიკოლოზ დერიუგინი,

ახალგაზრდებს გააცნო. მუშფაკის ეზოში, რომელიც სასწავლო შესახვევში მდებარეობდა (ამ ქუჩას, ახლანდელი უშანგი ჩხეიძის ქუჩას, მაშინ ასე ერქვა), კალათბურთის პირველი მოედანი მოეწყო.

იმავე წლის მარტში ამ მოედანზე ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველი ოფიციალური მატჩი გაიმართა სასწავლებლის ორ გუნდს შორის. ერთ-ერთი გუნდის ღირსებას ალექსანდრე ჭელიძესთან ერთად მიხეილ ცხვედაძე, გოგი საყვარელიძე, ბორის გერასიმოვი და ალექსანდრე დავიდოვი იცავდნენ.

**1925 წელი.** კალათბურთის მოედნები ქალაქის სხვა უბნებშიც გაჩნდა: „სობორის პლაცზე“, ქართული და რუსული მუშფაკების ეზოებში, ველოტრეკზე, რომელიც ყოფილი დიდი მთავრის, დღევანდელი კამოს ქუჩაზე მდებარეობდა, ლენინის სახელობის სტადიონზე და ა. შ.

**1927 წელი.** ქუთაისში კალათბურთელთა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი გაიმართა. გამარჯვება როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის „სინათლის“ კალათბურელებმა მოიპოვეს. ამ შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ქართული სპორტის ვეტერანი გ. მერკვილაძე.

**1928 წელი.** ქართული კალათბურთის ჭეშმარიტი აღზევების წელია. თბილისის გარდა, ძლიერი გუნდები შეიქმნა ქუთაისში (გ. და პ. კილაძეები, დ. ხოჭოლავა), ბათუმში (ი. ტრომშჩენკო, ლ. იოაკიმიდი, ა. ანიკინი). თბილისის პირველობა ხუთ საფეხურად ტარდება, თანაც ყველაზე დაბალ ჯგუფში 60-მდე გუნდი თამაშობს. ორ ათეულზე მეტი გუნდი ჰყავდა უნივერსიტეტს. ამ სასწავლებლის პირველობა ნამდვილი საკალათბურთო ზეიმი იყო და მას უამრავი მაყურებელი ჰყავდა. უნივერსიტეტის პირველ გუნდში თამაშობდნენ: დ. მიქაბერიძე, გ. ჯაფარიძე, ვ. მდივანი, გ. იოსებაშვილი, გ. შხვაცაბაია, ლ. ფალავანდიშვილი, მეორეში — მ. ქობულაძე, დ. მიქელაძე, ვ. სოლოღაშვილი, ვ. ციციშვილი, ა. წერეთელი; მესამეში — გ. მახათაძე, მ. და გ. მირი-

იხ. მე-4 გვ.

# წლები, ადამიანები, მოვლენები

დასასრული

ანაშვილები... მეოთხეში — ი. ჯაფარიძე, რ. და ნ. მდივნები, დ. გელაძე... მეხუთეში — ა. ფალავანდიშვილი..., მეექვსეში — რ. დვალი... მერვეში — შ. ყიასაშვილი... მეთორმეტეში, რომელსაც მაშინ „პატარა სახუნტს" უწოდებდნენ — გ. და ო. ავალიშვილები, შ. დიასამიძე.... უნივერსიტეტის ქალთა გუნდის წევრთა შორის იყვნენ: ე. ლორთქიფანიძე, ლ. ჩხეიძე ა. ნიკოლაიშვილი, მ. ბესტავაშვილი, მ. ტყავაძე, შ. ქლენტი, ც. გაბაშვილი, სხვები და სხვები.

**20-იანი წლების მიწურული — 30-იანი წლების დასაწყისი.** შეიქმნა უნივერსიტეტის ერთი ძლიერი გუნდი (ლ. ფალავანდიშვილი, ვ. ციციშვილი, ა. წერეთელი, ვ. და რ. მდივნები, შ. ყიასაშვილი). შემდგომში ამ გუნდის წევრთაგან ჩამოყალიბდა „დინამო", რომელსაც ა. კარპოვი და ა. ელენსკი მიემატნენ.

შეიქმნა კიდევ რამდენიმე საინტერესო კოლექტივი: „მედსანტრუდი" (შ. პაატაშვილი, რ. მონასელიძე, ს. მოსაშვილი, შალამბერიძე, ქუმსიაშვილი). 30 წლების დასაწყისში მათ ო. და გ. ავალიშვილების, აგრეთვე შ. დიასამიძის სახით დიდი ძალა დაემატათ. ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში (ზიი) თამაშობდნენ: ს. ოგანეზოვი, ლ. ძეკონსკი (მოგვიანებით ო. და გ. ავალიშვილები იქ გადავიდნენ), ბ. აკიმოვი, გ. ჰირაქაძე. ინდუსტრიული ინსტიტუტის კალათბურთელებს ქალთა კოლექტივებშიც წამყვანი პოზიცია ეკავათ (თ. გეგელაშვილი, ნ. ზალდასტანიშვილი, თ. ლეჟავა, ზ. შეველიოვა, ო. ვარდანაშვილი) — მათი მუდმივი მეტოქეები დინამოელები იყვნენ (გ. ავაქიანი, რ. შტენპა, რ. როხლინა, ე. იგოვსკაია, თ. ერმოვა).

**1934 წელი.** ქართული საკალათბურთო მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ორგანიზატორმა, ჩინებულმა მოთამაშემ, მწვრთნელმა და თეორეტიკოსმა ვახტანგ ციციშვილმა კალათბურთის სკოლებისათვის პროგრამის პროექტი შეადგინა (ვ. მდივნისა და ა. წერეთლის შენიშვნებით). მანვე სპორტსაზოგადოება „სტროიტელთან" კალათბურთის პირველი სკოლა ჩამოაყალიბა. დაარსდა ნორჩ კალათბურთელთა პირველი ჯგუფები. გოგონებს ავარჯიშებდა ა. წერეთელი, ბიჭებს — ვ. მდივანი.

**1935 წელი.** საკავშირო ჩემპიონატებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პირველად დაიკავეს საპრიზო ადგილი. თბილისის ვაჟთა გუნდი (ლ. ფალავანდიშვილი, ვ. ციციშვილი, ა. წერეთელი, ვ. მდივანი, გ. ავალიშვილი, რ. მდივანი, შ. ყიასაშვილი, ს. ოგანეზოვი) III ადგილზე გავიდა.

**1937 წელი.** საკავშირო ჩემპიონატებში პირველად გამოვიდა თბილისის „დინამო", გუნდმა დაამარცხა ერევნის „დინამო" (25:16), ბაქოს „ნეფტიანიკი" (27:20) და დამარცხდა ლენინგრადის „კრასნაია ზარიასთან" (31:33), რომელიც ამ ჩემპიონატში II საპრიზო ადგილზე გავიდა.

**1938 წელი,** მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო გათამაშებაში თბილისის „ლოკომოტივმა" პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლეს ჯგუფში გადავიდა.

**1939 წელი.** თბილისის „ლოკომოტივმა" (თ. ჩუბინიშვილი, ბ. სარქისოვი, მ. ფილიპოვი, ლ. ძეკონსკი, ი. კელბალიხანოვი, მ. კრავცოვი, ა. კომაროვი, მ. გოლოვინი, კ. ივანოვი) საკავშირო ჩემპიონატში III ადგილი დაიკავა.

იმავე წლის 8-10 აპრილს ხარკოვში ჩატარებულ ქალაქების სამატჩო შეჯიბრებაში თბილისის გუნდმა გაიმარჯვა (შ. ახვლედიანი, რ. მდივანი, მ. ფილიპოვი, ლ. ძეკონსკი, ა. ელენსკი, ბ. სარქისოვი, თ. ჩუბინიშვილი).

**1944 წელი.** პირველი დიდი წარმატება საკავშირო ჩემპიონატზე. უძლიერესის სახელი თბილისის წითელი არმიის სახლობის გუნდმა (ნ. ჯორჯიკია, ლ. ძეკონსკი, ს. ოგანეზოვი, ბ. სარქისოვი, მ. ფილიპოვი, მ. ერმაკოვი, გ. ზახლიანი, მწვრთნელი — გ. მეუნარგია) მოიპოვა.

**1946 წელი.** თბილისის არმიელებმა ორიწლიანი წარმატება გაიმეორეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდი (ნ. ჯორჯიკია, ლ. ძეკონსკი, ს. ოგანეზოვი, ბ. სარქისოვი, მ. ფილიპოვი, ო. სულაბერიძე, გ. გუპალოვი, გ. ახვლედიანი, ა. ვაჩაძე, მწვრთნელი— გ. მეუნარგია).

**1947 წელი.** სსრ კავშირის ნაკრები საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ო. ქორქია და ნ. ჯორჯიკია.

**1949 წელი.** სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება. საპატიო ჯილდო თბილისის „დინამომ" დაისაკუთრა (ო. ქორქია, ა. მესხი, ჯ. ნიჟარაძე, ს. თორთლაძე, შ. ქორქაშვილი, მ. კეკელიძე, დ. გოძიაშვილი, ლ. ინწკირველი, გ. რუხაძე, თ. მეძმარიაშვილი, მწვრთნელი — შ. დიასამიძე).

**1950 წელი.** თბილისის დინამოელთა პირველი „დუბლი" სსრ კავშირის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. ჩემპიონები გახდნენ: ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ა. მესხი, ჯ. ნიჟარაძე, ს. თორთლაძე, შ. ქორქაშვილი, ვ. ქლენტი, ლ. ინწკირველი, დ. გოძიაშვილი, გ. რუხაძე, მწვრთნელი — გ. ავალიშვილი. სსრ კავშირის თასი მოიპოვეს: ო. ქორქიამ, ნ. ჯორჯიკიამ, ჯ. ნიჟარაძემ, მ. კეკელიძემ, ა. მესხმა, შ. ქორქაშვილმა, ვ. ქლენტმა, ლ. ინწკირველმა, დ. გოძიაშვილმა, გ. რუხაძემ, თ. მეძმარიაშვილმა. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი.

**1951 წელი.** სსრ კავშირის თასისთვის ამჯერად რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები იბრძოდნენ. საპატიო ჯილდო ისევ ქართველმა კალათბურთელებმა მოიპოვეს: ნ. ჯორჯიკია, ვ. ქლენტი, ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, დ. გოძიაშვილი, გივი აბაშიძე, შ. ქორქაშვილი, გ. რუხაძე, გ. ბახტურიძე, ლ. არლანიაშვილი. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი.

**1952 წელი.** საბჭოთა კალათბურთის დებიუტი ოლიმპიურ თამაშებში (ჰელსინკი, XV ოლიმპიადა) ვერცხლის მედლებით აღინიშნა. სხვებთან ერთად საპატიო ჯილდო მიიღეს ო. ქორქიამ და ნ. ჯორჯიკიამ.

ქალაქების ტრადიციული სამატჩო შეხვედრა თბილისის ნაკრებმა მოიგო (ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ვ. ქლენტი, ა. კილაძე, გივი აბაშიძე, ლ. არლანიაშვილი, გ. ბახტურიძე, ვ. გვანცელაძე, დ. გოძიაშვილი, მ. ეგანოვი. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი).

**1953 წელი.** თბილისის „დინამო" მეორედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი (ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ვ. ქლენტი, ლ. ინწკირველი, გურამ და გივი აბაშიძეები, ვ. გვანცელაძე, ჯ. ნიჟარაძე, მ. ეგანოვი, გ. მინაშვილი. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი).

**1954 წელი.** თბილისის „დინამოს" პირველი საერთაშორისო მატჩი ბულგარეთის ნაკრებთან (შეხვედრა ზამთრის საკავშირო პირველობის დღეებში ლენინგრადში გაიმართა). გაიმარჯვეს ჩვენმა კალათბურთელებმა — 85:55.

თბილისის „დინამო" მესამედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ვ. ქლენტი, ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, ჯ. ნიჟარაძე, გურამ და გივი აბაშიძეები, მ. ასიტაშვილი, მ. კვაჭანტირაძე, გ. კუჭავა. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი).

საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი მოიგო, გამოდიოდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ა. ასიტაშვილი (იგი 1956 წელსაც გახდა კონტინენტის ჩემპიონი).

**1959 წელი.** სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატებში. გუნდმა მოიგო ყველა ფინალური შეხვედრა, მაგრამ უარი თქვა ტაივანის კალათბურთელებთან თამაშზე და ამის გამო მას VI ადგილი მიეკუთვნა. ნაკრების შემადგენლობაში იყო ორი გურამი — მინაშვილი და აბაშიძე.

თბილისის „დინამომ" მოიგო ზამთრის საკავშირო პირველობა (გ. მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე, ი. ხაზარაძე, გურამ აბაშიძე, ვ. ალთაბაევი, ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, ა. კაზანჯიანი, მ. ასიტაშვილი, ვ. გვანცელაძე, რ. გოგელია, ქ. ჯაფარიძე, ი. მირიანაშვილი. მწვრთნელი — გ. ავალიშვილი).

ისტორიული მატჩი სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე, საქართველოსა და ლატვიის გუნდებს შორის, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის სამმა კალათბურთელმა ხუთ მეტოქეს აჯობა (ძალთა ასეთი შეფარდება იყო შეხვედრის ბოლო წამებზე), საქართველოს ნაკრებმა ამ ტურნირში II ადგილი დაიკავა.

**1962 წელი.** თბილისის „დინამოს" პირველი დიდი გამარჯვება საერთაშორისო სარბიელზე. 29 ივნისს ჟენევაში ჩვენმა კალათბურთელებმა მადრიდის „რეალი" დაამარცხეს და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლნენ (გ. მინაშვილი, ა. კილაძე, ი. ხაზარაძე, ლ. ინწკირველი, რ. გოგელია, ვ. ალთაბაევი, ა. სხიერელი, ვ. უგრეხელიძე, ა. ლეჟავა, ლ. მოსეშვილი, ა. პეტროვი. მწვრთნელი — ო. ქორქია).

**1963 წელი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა კოლექტივი (მწვრთნელი — ლ. ძეკონსკი) პირველად გახდა საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი (II ადგილი). ეს წარმატება გუნდმა მომდევნო წელსაც გაიმეორა.

**1967 წელი.** საბჭოთა კავშირის კალათბურთელმა ვაჟებმა მოიგეს მსოფლიო ჩემპიონატი (მონტევიდეო, V ჩემპიონატი). პირველი ქართველი კალათბურთელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი გახდა, ზ. საკანდელიძე იყო.

**1968 წელი.** თბილისის „დინამო" მეოთხედ (ჯერჯერობით უკანასკნელად) გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი (ვ. ალთაბაევი, ბ. ბოლქვაძე, ა. ლეჟავა, ზ. ქარაბაკი, ა. კაზანჯიანი, ლ. მოსეშვილი, ა. სხიერელი, ვ. უგრეხელიძე, თ. ჩიხლაძე, ს. მალალაშვილი, თ. ნარიმანიძე, თ. ფიცხელაური, ზ. ლეონტიევი, რ. მამალაძე. მწვრთნელი — ლ. ინწკირველი).

**1969 წელი.** თბილისის „დინამომ" უკანასკნელად მოიგო სსრ კავშირის თასი (ზ. საკანდელიძე, ბ. ბოლქვაძე, ვ. ალთაბაევი, ა. ლეჟავა, ს. მალალაშვილი, ლ. მოსეშვილი, ა. სხიერელი, ვ. უგრეხელიძე, თ. ჩიხლაძე, ა. კაზანჯიანი, ზ. ქარაბაკი, თ. ნარიმანიძე, თ. ფიცხელაური, მწვრთნელი — ლ. ინწკირველი).

**1972 წელი.** სსრ კავშირის ნაკრები პირველად გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (მიუნხენი, XX ოლიმპიადა). სხვებთან ერთად ოქროს მედალი ზ. საკანდელიძესაც გადაეცა.



**1935 წლის თბილისის ნაკრები. მარცხნიდან — ს. ოგანეზოვი, ვ. მდივანი, ვ. ციციშვილი, რ. მდივანი და ა. წერეთელი.**

## სპორტული თებერვალი

**3-7.** თხილამურებით (ტრამპლინიდან ხტომა) — საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა 1970-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ბაკურიანი.

**3-5.** თანამედროვე ხუთჭიდი — საქართველოს თასი. თბილისი.

**3-6.** სასტენდო სროლა — „ოდიშის" თასის გათამაშება მოზრდილთა, 1967-1968 წწ. დაბადებულ იუნიორთა და 1969-70 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ზუგდიდი.

**5-9.** ბადმინტონი — საქართველოს პირველობა, ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. ბათუმი.

**5-13.** საგზატკეცილო ველორბოლა — საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი — მრავალდღიანი რბოლა. გუდაუთა.

**6-7.** ბატუტზე ხტომა — საქართველოს თასი. თბილისი.

**7-14.** წყალბურთი — საქართველოს პირველობა (1969-70 წწ. დაბადებულნი), თბილისი.

**11-15.** მაგიდის ჩოგბურთი — საქართველოს ღია პირველობა 1969 წელს დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. სოხუმი.

**11-16.** სათხილამურო რბოლა — საქართველოს ჩემპიონატი. ბაკურიანი.

**11-17.** ფარიკაობა — საქართველოს პირველობა 1967 წელს დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. ქუთაისი.

**14-15.** აკადემიური ნიჩბოსნობა— რესპუბლიკური შეჯიბრება საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ფოთი.

**17-18.** მძლეოსნობა — საქართველოს პირველობა 1968-71 წწ. დაბადებულ გოგონათა და იუნიორთა შორის. თბილისი.

**17-22.** ჩოგბურთი — საკავშირო შეჯიბრება 1973-74 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. თბილისი.

**19-22.** ტყვიის სროლა — საქართველოს თასის გათამაშება პნევმატური იარაღით სროლაში. თბილისი.

**22-25.** აკრობატიკა — საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

**26. II- 6.III** აფროსნობა — საქართველოს თასის გათამაშება მოზრდილთა და 1968 წელს დაბადებულ იუნიორთა შორის. ბათუმი.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 8 თებერვალი.** დილის დაჰურვა—**8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**, რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „ჟალგირისი" (კაუნასი) — ვეფ (რიგა) — **21.20 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია 8 თებერვალი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი) — **20.00.**

---

ჯანმრთელობა, უწინარეს ყოვლისა

# რადიო-ტანვარჯიში ყველასათვის

## გადმოიცემა რადიოთი ყოველ დილით 3-28 თებერვალს

ფეხები შეაერთეთ, წელში გაიმართეთ, მხრებში გაიშალეთ. იარეთ ადგილზე 15-20 წმ განმავლობაში (თუ ოთახის ფართობი საშუალებას გაძლევთ, შეგიძლიათ იაროთ წინ გადაადგილებით), გადადით ცერებზე სიარულზე, (5-10 წმ), შემდეგ ისევ ჩვეულებრივ სიარულზე და იარეთ 10-15 წმ განმავლობაში. მუხლი ასწიეთ მაღლა, თავი არ დახაროთ, წინ არ დაიხაროთ, ისუნთქეთ თავისუფლად.

**I ვარჯიში** — ფეხის უკან გატანა, ზემკლავი (I და VIII ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, თითოეული ვარჯიში მეორდება 8-10 ან 10-12-ჯერ).

ფეხები ერთად, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ.

თვლაზე ერთი-ორი — მარცხენა ფეხი გადგით უკან ცერზე, ერთდროულად შეასრულეთ უკუზნექი, ზემკლავი და ღრმად ჩაისუნთქეთ:

თვლაზე სამი-ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და ამოისუნთქეთ.

**II ვარჯიში** — მკლავების მკერდის წინ გადაჯვარედინება.

ფეხები ერთად, გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვლაზე ერთი — განმკლავი, თვლაზე ორი — მკლავები გაიტანეთ წინ, იდაყვებში მოხარეთ და მკერდის წინ ერთმანეთზე გადააჯვარედინეთ. თვლაზე სამი — ისევ განმკლავი. თვლაზე ოთხი — ქვემკლავი. მკლავების მკერდის წინ გადაჯვარედინებისას ხან მარცხენაა ზემოდან, ხან მარჯვენა. განმკლავის შესრულებისას— ჩაისუნთქეთ, მკლავების გადაჯვარედინებისას და ქვევით დაშვებისას — ამოისუნთქეთ.

**III ვარჯიში** — ტანის ბრუნი ცალი მკლავის წინ გამართვით.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, ხელები მომუშეთ, მარცხენა მკლავი გაიტანეთ წინ — წინმკლავი, მარჯვენა მოხარეთ ხელის იღლიის დონეზე დაჭერით. თვლაზე ერთი — ტანი მოაბრუნეთ მარცხნივ, ერთდროულად შეცვალეთ მკლავების მდგომარეობა — მარჯვენა გამართეთ წინ, მარცხენა მოხარეთ. თვლაზე ორი — ტანი მოაბრუნეთ მარჯვნივ და ერთდროულად შეცვალეთ მკლავების მდგომარეობა — მარცხენა გამართეთ წინ, მარჯვენა მოხარეთ.

**IV ვარჯიში** — ზნექი განზე, ზემკლავი.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, გაიმართეთ, დოინჯი. თვლაზე ერთი — ზნექი მარცხნივ, ზემკლავი. თვლაზე ორი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. თვლაზე სამი — ზნექი მარჯვნივ ზემკლავი. თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ზნექისა და ზემკლავის შესრულებისას — ჩაისუნთქეთ; საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას — ამოისუნთქეთ.

**V ვარჯიში** — ნაბიჯი წინ ჩაბუქნით.

ფეხები ერთად, გაიმართეთ, დოინჯი. თვლაზე ერთი — მარცხენა ფეხი გადადგით წინ. თვლაზე ორი —ბუქნი. თვლაზე სამი — ადექით, თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

მომდევნო ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში მარჯვენის წინ გადადგმით. ბუქნის შესრულებისას — ამოისუნთქეთ, ადგომისას და ფეხის მიდგმისას — ჩაისუნთქეთ.

**VI ვარჯიში** — ბუქნი-წინმკლავი. ფეხები ერთად, გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვლაზე ერთი — ბუქნი, წინმკლავი. თვლაზე ორი — ფეხები გამართეთ, ტანი დახარეთ წინ და მკლავები გატანეთ უკან. თვლაზე სამი — ისევ ბუქნი, წინმკლავი (იგივე რაც თვლაზე ერთი). თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

**VII ვარჯიში** — ახტომები და ადგილზე სირბილი.

ვისაც ახტომები და სირბილი ეძნელება შეუძლია მათ ნაცვლად რამდენიმეჯერ ჩაბუქნოს ან ადგილზე იაროს.

ფეხები ერთად, ცერები შეაერთეთ, დოინჯი. შეასრულეთ ადგილზე 20 ახტომი და ამის შემდეგ გადადით სირბილზე. ირბინეთ 20 წმ განმავლობაში და ისევ გადადით სიარულზე. იარეთ 10-15 წმ განმავლობაში. სიარულში რამოდენიმეჯერ შეასრულეთ ვარჯიში: ზემკლავი — ჩაისუნთქეთ, მიმკლავი — ამოისუნთქეთ.

**VIII ვარჯიში** — ფეხის მოხრა ხელების მუხლში ჩავლებით. ფეხები ერთად, გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვლაზე ერთი — მარცხენა ფეხი მოხარეთ ხელების მუხლზე მოვლებით. თვლაზე ორი — ხელების დახმარებით ფეხი კიდევ უფრო მეტად მოხარეთ და დაძაბეთ მთელი ტანის კუნთები. თვლაზე სამი — ხელები ჩამოუშვით— ქვემკლავი, მოადუნეთ მთელი ტანი და ფეხი გამართეთ წინ. თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

მომდევნო ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში მარჯვენა ფეხის მოხრით. ფეხის მოხრისას — ამოისუნთქეთ, გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

**დავით ჟვანია.**

---

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 68658 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 06755